ლი და სჭამდა პირსა მისსა და მიუღებდა ნა- 5
თელსა თუალთა მისთასა და რცხუმწნოდა მისუ-
ლად ვაცთა თანა და ჰჯარვიდა პირსა მისსა. მა-
შინ წარიყუანა წმიდამან პეტრე იერუსალიმს საფ-
ლავსა უფლისასა და ვითარ აღასრულეს ლოცუა,
იხილეს ყოველთა, რამეთუ კელი ვაცისა გამო-
ვიდა ლოდისა მისგან პატრიოსნისა და შეახო პირსა 10
იოანესსა და მეყუსეულად მასვე წამსა განიკურ-
ნა. და იხილეს ყოველთა, რამეთუ ყოველად რაძ-

თურთ არა იყო მისთანა კუალიცა ფიცხელისა მის წყლოელისა და აღიდებდეს ღმერთსა, შემწესა
 15 წმიდათსა.

25. კუალად სხუასა უამსა შეედუა სნეულება სასიკუდინი იოანეს და რომელთა იხილეს, იცყო-
 დეს, ვითარმედ არღარა აღდგეს. ხოლო მას ნე-
 ცარსა აქუნდა სასოება ღუთისა კეთილთათვის სა-
 5 უკუნეთა და უხაროდა განსუთა ამიერ სოფლით.
 არამედ ნეცარსა და წმიდასა პეტრეს დიდი გუ-
 ლისკლება აქუნდა და ფრიად მწუხარე იყო სიკუდი-
 ლისა და განშორებისა მისისათვის. და ღამესა ერთ-
 სა დგა იგი ღოცუად იოანესთვის და მოიწია მისსა
 10 კმა სევით, რომელი ეცყოდა: „პეტრე, სიყუა-
 რულისა შენისათვის და გულისმოდგინედ თხოვისა
 შევმატე უამთა იოანესთა თორმეტი წელი“. და
 მეყუსეულად აღდგა და განცხოველდა იოანე და
 განეყარა ქეცი ყოველსა კუამსა მისსა და კორცნი
 15 მისნი მოეგნეს და იქმნეს, ვითარცა ყრმისა ჩჩვი-
 ლისა, და ყოველნივე აღიდებდეს ღმერთსა, რომ-
 მელმან ჰყვის ნება მოშიშთა მისთა. მაშინ უკუს
 ჰრქუა წმიდამან პეტრე ნეცარსა იოანეს: „აღდეგ,
 ძმაო, და შესწირე უსისხლო მსხუსრპლი სამა-
 20 დლობელად ღუთისა, რომელმან გეკსნა შენ კელ-
 თაგან სიკუდილისათა“. ხოლო მან ჰრქუა, ვი-
 თარმედ არა მიც კმა და ვერცალა თუ უბნობად
 შემძლებელ ვარ. ჰრქუა მას წმიდამან პეტრე:

„უკეთუ სთნდეს მეუფესა შესაწირავი შენი, შემ-
 ძლებელ არს მოცემად შენდა კმისაცა“. მაშინ 25
 აღდგა ნეტარი იოანე და აღვიდა საკურთხევე-
 ლად და იწყოჲ ჟამისა წირუად. და მოეცა მას
 კმა უხესთაეს ჰირველისა და უმუწნიერეს.

26. მერმე კუალად ჩუწნებასა იხილვიდა ნე-
 ტარი იოანე სამღვ. და სამღამე სენავსა შინა
 თვისსა და ხედვიდა, რამეთუ საყდარნი დაიდგეს
 სასჯელისანი და ძელი ჟუარისა გამოუჩნდა ღრუ-
 ბელთა თანა ცისათა. და მაშინღა მსაჯული დაჯდა. 5
 და იყო მსაჯულისა მის გარემო სიმრავლე
 ურიცხვი ანგელოზთა და მთაუარანგელოზთა,
 სერაფიმთა და ქერობიმთა. და იხილნა კუალად
 წმიდანი მოციქულნი საყდართა ზედა მსხდო-
 მარენი და წინასწარმეტყუწლნი და ყოველნი წმი- 10
 დანი და მართალნი მარჯულ მსაჯულისა ქრის-
 ტეს ღუთისა მდგომარენი. ხოლო ნეტარი და წმი-
 და პეტრე და თვით იოანე სხდეს წინაშე საკურთ-
 ხეველისა და გარემოს მათსა სხდა სიმრავლე იგი
 მონაზონთა, რომელნი იგი მათ მიერ შეწირულ 15
 იყუნეს ღუთისა. მაშინ წარმოადგინნეს წმიდანი იგი
 მონაზონნი წინაშე ქრისტესა. და ხედვიდა, რამეთუ
 რომელნიმე მიეცემოდეს ცეცხლსა დაუმრეტელსა
 და რომელნიმე მიიღებდეს გვირგვინსა დაუჭვნო-
 ბელსა. და იხილა ყოვლადწმიდა დედოფალი 20
 ღუთისმშობელი დამდგომარე წინაშე მისა თვი-

სისა და მკედრებელი ყოვლისა სოფლისათვის.
 და ესოდენ საშინელ იყო ჩუქნება ესე, რომელი
 ენა ვაცისა მითხრობად ვერ შემძლებელ არს. და
 25 ესე თვით ნეტარმან იოანე გვითხრა. ხოლო
 შემდგომად ამის ჩუქნებისა დღესა ოცდა ათსა
 არაუის მიუგო სიტყუა, რამეთუ გონება მისი
 არღარა იყო ქუჩუყანასა ზედა, არამედ ზეცას.
 და იქმნა პირი მისი, ვითარცა პირი ანგელოზისა.
 30 განბრწყინებულ.

27. და მათ უამთა შინა წმიდა და სანატრელი
 ჰეტრე და მოწაფენი მისნი და იოანეცა ნეტარი
 წარვიდეს ეგვიპტედ, სანახებთა სვიტისათა, მო-
 ვლიდეს და მოილოცვიდეს წმიდათა მამათა უდა-
 5 ბნოსათა და სურვიელ იქმნეს უდაბნოსა მას და
 გამოიჩინეს ადგილი და აღაშენეს ეკლესია და
 გარემოს მონასტერი და მოიყუანეს ეპისკო-
 პოზი და აკურთხეს ეკლესია და ვითარ აკურთ-
 ხევდეს, იხილეს, რამეთუ წმიდა მარკოზ მახარე-
 10 ბელი სცხებდა ნელსაცხებელსა ეკლესიასა შინა
 და აკურთხევდა. ხოლო მრავალნი სასწაულნი
 ქმნა ღმერთმან კელითა ჰეტრე ნეტარისათა ეკლე-
 სიასაცა მას შინა და ქუჩუყანასაცა აღექსანდრიი-
 საცა და მრავალნი ეშმაკეულნი და ბრძანნი და
 15 მკელობელნი და კეთროვანნი განკურნნეს.

28. და რაოდენთამე დღეთა შემდგომად კუა-
 ლად მოიქცეს იერუსალიმადკე და კუალად აღა-

შენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო და იწყეს
 შენებად ეკლესიისა, და სხუაცა ვინმე ერისკაცი
 მდიდარი აშენებდა მხლობელოდ მათსა ეკლესიასა 5
 თვისსა და ერიოდა მოწაფეთა ნეტარისა პეტრესთა
 საზღურისათვის. და დღესა ერთსა წარმოვიდოდა
 იოანე მუშავთა თანა ეკლესიისათა და აღუშფოთდა
 მთავარი იგი იოანეს და უხეთქნა ღაწუსა მისსა
 და განასხნა მუშავნი ეკლესიისანი. ხოლო იოანე 10
 არა მიუგო, არამედ შევიდა წმიდისა პეტრესსა
 და უწყო საქმე ესე. ხოლო წმიდამან პეტრე
 არა სწყევს მას, არამედ ესრეთ ჰრქუა: „ჟ საკვირ-
 ველი, უკეთუ ამას ღამესა არა მოკუდეს“. და
 ვითარ განთენა, მოსარჩლე იგი მათი მოკუდარ 15
 იყო. და უწყოდეს ყოველთა, რამეთუ სნეუ-
 ლება არა სჭირდა მთავრსა მას, გარნა ამისთვის
 ეწია მას რისხუა იგი, რომელ იოანეს უხეთქნა.
 ხოლო ვითარცა დაჭლეს იგი, კუალად იწყეს
 შენებად ეკლესიისა წმიდათა მათ და ღუთისა შე- 20
 წევნითა კეთილად განასრულეს.

29. და მსახურებდეს უწყინოდ ყოველთა
 ძმათა მომავალთა და გლახავთა და უცხოთა.
 ხოლო ერთსა ჟამსა დაელოა მათ საზრდელი და
 არა აქუნდა მათ ყოვლად რაჲთურთით. და ჩუწ-
 ულებისაებრ შემოკრბეს გლახავნი. ხოლო წმი- 5
 დათა მათ არა ქონდა საზრდელი კორციელი,
 რათამცა ისტუმრნეს გლახავნი იგი, არამედ ღუ-

თისა მიმართ აქუნდა ფრიადი სასოება და აღდ-
 გეს და ილოცეს ქრისტეს მიმართ და ჰრქეს
 10 „უფალო, უფალო, შენ სთქუ და ბრძანე, ვითარმედ
 ნუ ზრუნავთ ხვალისასა. არამედ აწ რა უცოთ რამე,
 თუ არა რაჲ გუაქუს, რათამცა მონანი შენნი
 ვისტუმრნეთ“. და ვიდრე ილოცვიდესლა წმიდანი
 იგი, იპოვნეს ყოველნი ჭურჭელნი მათ, რათა
 15 აღვსებულ იყუნეს სახუარბლონი და საფქვილონი
 და საპურენი და საცერცუმნი და საზეთენი და
 საღვინენი, ყოველნივე მდიდრად გარდაეცემოდეს.
 და ვითარცა იხილეს საკვირველება ესე, აღიდებ-
 დეს ღმერთსა და განუყოფდეს უმურველად ყო-
 20 ველთაჲ.

30. ამისა შემდგომად ჰრქუა მათ მამამან ზე-
 ნონ არქიმანდრიტმან, ვითარმედ შეკედით მონა-
 სტერად და მკნდებოდეთ ძმათა თანა მარხვითა
 და ღოცვითა. ხოლო იგინი მორჩილ ექმნეს და
 5 შევიდეს მონასტერად, რომელი მახლობელ იყო
 იერუსალიმსა, და იღუწიდეს უმეტეს ყოველთასა
 და ესრეთ იყუნეს, ვითამცა ახლად, და დღითიდღე
 შედგებოდეს ყოველთა სათნოებათა. ხოლო იგი
 ვიდრეღა იყუნეს მას მონასტერსა, აღესრულა
 10 წმიდა და ნეტარი იოანე საჭურისი და წარვიდა
 წინაშე უფლისა მხიარულითა პირითა და დამარხეს
 დიდითა დიდებითა მონასტერსა მას ქართუმს ღლთასა,
 რომელი მათ წმიდათა აღაშენეს. ხოლო ნეტარ-

მან პეტრე დაჰყო მონასტერსა მას, სადა იგი
 მიაუღიანა არქიმანდრიტმან, მრავალნი წელნი 15
 დიდსა და ფიცხელსა შინა მოღუაწებასა და ესე
 ზომილუაწა წმიდა, რომელ უხესთაეს იქმნა ბუნე-
 ბისა ვაცთასა, და დიდად განითქუა სახელი მისი
 ყოველსა მას ქრესტიანსა იერუსალიმისა და პალეს-
 ტინისა და ეგვიპტისასა და ყოველთა მიერ 20
 სანატრელ იქმნა, ვითარცა ჭემმარიტი მონა ქრი-
 სტეს ღუთისა.

31. მას უამსა მოკუდა ეპისკოპოზი და შეკრ-
 ბეს ყოველნი და მოვიდეს მოქალაქენი მაიუმი-
 სანი პატრიარქისა, ვითარმედ წმიდაო მეუფეო,
 ქალაქისა ჩუშნისა ეპისკოპოზი გარდაიცუალა
 და სხუა ეპისკოპოზი არა გუნებაუს, გარნა პეტრე 5
 ქართუშლი. მაშინ უბრძანა პატრიარქმან მიება
 მისი. და წარვიდეს და მიება ჰყვეს და ჰპოეს
 უდაბნოსა, რამეთუ უდაბნოს მოყუარე იყო წმი-
 და ესე და მრავალჯერ წარვიდის მარტო უდა-
 ბნოდ, რათა მხოლოდ მხოლოდსა დმერთსა ზრ- 10
 ხვიდეს. ხოლო ვითარცა ჰპოეს წმიდა იგი, მძლავრ
 შეიპყრეს და შეჰკრეს და მიყუანდა შეკრული,
 რათა არა ივლტოდეს. ხოლო წმიდამან ვითარ-
 ცა სცნა მიზეზი შეკრულისა და რამეთუ ეპისკო-
 პოზ ჰყოფენ, შეუძნდა ფრიად და მწარედ სტი- 15
 როდა და განტყუებასა ევედრებოდა და ეტყოდა
 მათ, ვითარმედ დიდად ცოდვილ ვარ. ხოლო

მათ აზრს ისმინეს მისი, აზრამედ წარიყუანეს. და
 ვითარცა მიიწინეს დაბასა ერთსა, დაუღამდა მათ
 20 და დაადგრეს სახლთა შინა ქორედთა, რათა ვერ
 უძლოს წმიდამან სივლოტოლად. მაშინ ჰრქვა მათ
 წმიდამან პეტრე: „განმკსენით მე მწუხრსა ამას და
 განთიად შექმართ“. ხოლო მათ განკსნეს. და ვითარ-
 ცა დაიძინეს ყოველთა, აღდგა ყოველთაგან უცნაუ-
 25 რად და ენება გარდაგდება თავისა სიმაღლისა მის-
 გან, რათა განერეს ანუ განიტყოს ასო რამე
 და ესრეთ დააკლდეს დიდებასა მას, რამეთუ დი-
 დად სძულდა დიდება ამის სოფლისა. მაშინ გამო-
 ეცხადა მას უფალი პირისპირ მკედრობითა ანგე-
 30 ლო-სთათა და ჰრქვა მას: „პეტრე, აზრს უწყია, რა
 იგი უბრძანე მოციქულსა ჩემსა პეტრეს, ოდეს იგი
 დაბანასა ფერკათასა ურჩ მქმნებოდა?“ ხოლო მან
 მიუგო მრწოლით: „ჰე უფალო, უწყია“. და ჰრქვა
 მას უფალმან: „და აწ შენცა გეცყო. აზრს გცნა წი-
 35 ლი სამკვიდრებელსა ჩემსა, უკეთუ აზრს დამწყსნე
 ცხოვარნი ჩემნი“. და ნუგეშინის სცა უფალ-
 მან და განაძლიერა და ამისა შემდგომად ამაღლდა
 უფალი ზეცად. ხოლო წმიდა პეტრე თაყვანის
 სცემდა და აღიდებდა წმიდასა სახელსა მისსა. და
 40 ვითარცა განთენა, აღდგეს ვაცნი იგი და წარი-
 ყუანეს ნეტარი პეტრე პატრიარქისა წინაშე. და
 ეცყო-და წმიდასა პატრიარქსა, ვითარმედ წმიდაო-
 მუფუგო, ფრიად ცოდვილ ვარ და აზრს დირსიო.

და იჩემებდა ცოდუათა მრავალთა სახელით, რომ-
 მელთაგან ბიწიცა არა უწყოდდა, და ფრიად უდიდრ- 45
 სად ხადოდა თავსა თვისსა, რათამცა განუტყვეს.
 ხოლო მათ არა უსმინეს, არამედ აღდგა პატრი-
 არქი და წარიყუანა წმიდა პეტრე წმიდად ეკლე-
 სიად და დაასხნა კელნი თვისნი პატრიარქმან
 თავსა ზედა წმიდისა პეტრესსა და აკურთხა იგი 50
 მთავარეპისკოპოსად ნებითა ღუთისათა და და-
 იმჭირა იგი თვისთანა დღეთა მრავალთა და ცნა და
 გულისკმა ჰყო პატრიარქმან, ვითარმედ დიდი
 მონა არს ღუთისა. ხოლო შემდგომად რაოდენ-
 თამჟ დღეთა მოუწოდა პატრიარქმან მთავართა 55
 ქალაქისა მაიუმისათა და ასწავა მათ სწავლა სა-
 ღუთო და მერმე მიუთვალა მათ წმიდა პეტრე და
 ჰრქვა: „ვაცნო ღუთისმოყუარენო, ამას მწყემსსა
 კეთილსა მიგცემს თქუშნ უფალი ღმერთი. აწ
 უკუშ დაემო-რჩილენით ამას, ვითარცა ქრისტესა, 60
 და შეუდევით ყოვლითა სულითა“. ხოლო მათ
 მიითვალეს წმიდა პეტრე სიხარულითა დიდითა
 და მადლობდეს უფალსა ღმერთსა.

32. ხოლო პატრიარქმან წარავლინა წმიდა
 პეტრე საყდარსა თვისსა დიდითა პატრივითა და
 ვითარცა მიიწია წმიდა პეტრე ქალაქად მაიუმისა,
 გამოვიდეს ყოველნივე შემთხვევად მისსა და
 მიეგებებად დიდითგან ვიდრე მცირედმდე კერეო- 5
 ნებითა და სულნელებითა დიდძალითა და ქებითა

და შესხმითა. და დიდითა დიდებითა და პატრივითა შეიყუანეს ქალაქად და წმიდად ეკლესიად. ხოლო სასწაულნიცა მრავალნი იქმნეს ღუთისა მიერ კელითა წმიდისა პეტრესითა ქალაქსა მას შინა ღლესა მას შესულისა მისისა. ამისთვისცა ყოველნივე იხარებდეს და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან. ესე ვითარი მწყემსი მოსცა მათ.

33. ხოლო წმიდამან პეტრე არა შესწირა მსხუჭრბლი იგი უსისხლო მრავალყამ. მაშინ მოიწია მისსა კმა, რომელი ეტყოდა: „პეტრე, აღდეგ და შესძინე ცალანცსა შენსა და შესწირედ მსხუჭრბლსა, რათა არა მოილო პატრიუი მონისა ამის, რომელმან იგი დაჭულა ცალანცი იგი უფლისა თვისისა“. ხოლო პეტრეს ვითარცა ესმა კმა უფლისა, აღდეგა შიშით და იწყო ჟამისა წირუად. და იყუნეს მრავალნი მღუდელნი და მონაზონნი გარემოს საკუროთხევულისა მის და იხილეს ყოველთა, რამეთუ რა ჟამს განაწილა კორცი იგი ქრისტესი, აღივსო წმიდა საკუროთხევულო სისხლითა, ხოლო ნეტარი პეტრე შემოწუნდა და უკუნ დგა წმიდისა ტრაპეზისაგან. მაშინ მოიწია მისსა კმა ზეცით, რომელი ეტყოდა ეპისკოპოსსა: „შესაწირავი განასრულო, რამეთუ არა შენთვის იქმნა საქმე ეგე, არამედ ჩემთვის, რათა უწყოდინ ყოველთა, რაოდენ დიდ არს და საშინელ შესაწირავი ეგე სიწმიდისა და შეწ-

ყნარებულ გულისთა უმანკოთაგან, ხოლო დამს- 20
 ჟელ გკლარბნილთა გონებითა“. და ვითარცა
 იხილეს ესე და ესმა კმა ზეცით ყოველთა მო-
 ქალაქეთა, იხარებდეს ყოველნივე და აღიდებდეს
 ღმერთსა, რომელმან ესე ვითარი მწყემსი მოსცა
 მათ, და მიერთებან ეპყრა ყოველთა ვითარცა 25
 ანგელოზი ღუთისა.

34. მათ ღღეთა შინა დაესრულა მეფობა თეო-
 დოსი მცირისა და დაიპყრა მეფობა მარკიანე და
 შეკრიბა კრება მეოთხე ქალკილონს ექუსასოც-
 დაათთა წმიდათა მამათა და ამტკიცეს ორი ბუნება
 ქრისტესი, რამეთუ სევერიანოსნი და იაკობნი შე- 5
 ჩვენებულნი არა შეიწყნარებდეს ქრისტეს ორთა
 ბუნებათა და არცა განკორციელებასა მისსა წმიდისა
 ღუთისმშობლისაგან. მაშინ ნეტარმან კირილე
 აღექსანდრიელმან და ყოველთა წმიდათა მამათა
 შეაჩვენეს იაკობნი და ყოველნი მწყალაბეღლნი, 10
 რომელთა არა სწამს ორი ბუნება ქრისტესი და
 განკაცება მისი წმიდისა ღუთისმშობლისაგან.

35. ხოლო მეფემან მარკიანე წარმოავლინა
 ვაცი სამეფო პალესტინედ, რათა განასხნეს
 მწყალაბეღლნი ქუჭყანით მათით. ხოლო ვინაჲთ-
 გან უკეთურნი იგი მრავალ და ფრიად იყუნეს,
 ამისთვისცა ძლიერად წინა აღუდგეს და იქმნა 5
 ბრძოლა შორის მათსა და ფრიადი სიმრავლე
 მოსწყდა მართლმადიდებელთა ბილწთა მათ მწყა-

ლებელთაგან, არამედ უკუანას იძლინეს უკეთურნი იგი.

36. დღესა ერთსა ვითარცა დადგა წმიდა პეტრე უამისა წირუად, იხილა განცხადებულად, რამეთუ მოვიდეს წმიდანი ანგელოზნი და აღიყუანებდეს სულთა მართლმადიდებელთასა ზეცად
 5 დიდითა დიდებითა წინაშე უფლისა, რომელნი იგი მოისრნეს მწუალებელთაგან, და იხილნა სულნი მწუალებელთა შთამავალნი ქუსსკნელად ჯოჯოხეთად. და ესე ამისთვის იხილა, რათა ასწაოს სამწყსოთა თვისთა მართალი სარწმუნოება და
 10 განამტკიცნეს სულნი ორგულნი და მცირედ-მოწმუნენი.

37. ხოლო ღუთისმოყუარებან და მართლმადიდებელმან მარკიანე დაჰყო ექუსი წელი და დაუტყვა მეფობა ცხოვრებისათა. და ჰპოეს უამი მწუალებელთა და კუალოდ აღეგნეს და აღტყინდეს ვითარცა ცეცხლნი და დაიყრნეს რომელნიმე კერძონი ქუსყანისანი და შეკრბეს და განიზრახეს, რათა მოკლან წმიდა პეტრე ქართუმლი მღუდელთმოძღუარი და წარმოვიდეს და თანაყვა მცირე ყრმა, რათა ზაკვით და უცნაურად მოკლან წმიდა იგი. და ვითარცა მოვიდეს და რეკეს ვარსა და რქვეს: „წმიდაო ღუთისაო, განგვილე და განჰკურნე ყრმა ესე, რამეთუ იგუსმების მტერისაგან“, მაშინ მოიწია მისსა ვმა, რომ-

მელი ეტყოდა: „პეტრე, ნუ განუღებ ვარსა, რამეთუ მსაკუარნი არიან“. ხოლო ესმა უსჯულოთა მათცა კმა ესე და მეყუსეულად ივლოცოდეს. 15

38. ხოლო ვითარცა გულისკმა ჰყო ნეტარმან ზაკუა მათი, რამეთუ მოკულა ენებათ, მრქუა მე: „შვილო ზაქარია, აღდეგ და წარვიდეთ უცხო-სა ქუშყანასა, რამეთუ არა ჟერ მიჩნს, რათამცა ჩუშნითა სიკუდილითა ესენი წარწყმდეს“. 5
 და ვითარცა წარვედით მიერ, შევედით სოფელსა რასამე და იყო დღე წმიდა კვირიაკე და ბრძანა წმიდამან პეტრე შემზადება საკურთხეველისა და წირუა ჟამისა. ხოლო სახლი იგი, რომელსა ეგულვებოდა წირუა, საკერპო ყოფილიყო და 10
 ზე სიმაღლესა შინა დგეს კერპნი. და ვარქუ მას: „წმიდაო მამაო, ნუ უკუშ არა ჟერ იყო-ს აქა შინა წირუა, რამეთუ კერპნი დგანან“. ხოლო წმიდამან მრქუა: „შვილო, ჩუშნ ღმერთსა შევსწირავთ მსხუშრბლსა და არა ეშმაკთა“. და ვითარცა იწყეს ჟამისა წირუად, გამოკრთა ცეცხლი საცეცხურთაგან და დაწვნა კერპნი იგი, ხოლო სახლსა არა ავნო. და ესე რა ვიხილეთ, მივეცით დიდება ღმერთსა. 15

39. კუალად მივედით ქალაქსა ერთსა და ვიყვენით მუნ დღე რაო-დენიმე. და იყო ვინმე ვაცი ქრისტეიანე და ესუა მას ასული და დასწეულდა ქალი იგი სენითა ფიცხელითა. მაშინ წარვიდა

5 ვაცი იგი მამა ქალისა, რათა მოიყუანოს გრძნე-
 ული და განჭკურნოს ქალი იგი. ხოლო დედა
 ქალისა მოვიდა და შეუვრდა ფერკთა წმიდისათა
 ცრემლით და ეტყოდა: „შემიწყალე მე, მონა-
 ქრისტეს ღუთისაო, და განჭკურნე ასული ჩემი
 10 და იკენ გრძნებისაგან, რამეთუ მამასა მისსა ნე-
 ბავს მოიყუანება გრძნეულისა. ხოლო წმიდასა
 შეეწყალა დედავაცი იგი და ჰრქვა მას: „ნუ სტირ,
 დედავაციო! ქრისტემან განჭკურნოს ასული შენი.
 ხოლო არა ვკონებ, ხვალემდინ თუმცა ცოცხალ
 15 იყოს გრძნეული იგი“. და აღდგა და წარვიდა
 წმიდა იგი ქალისა მის და სცხო მას ეკლოლია
 სახელსა ზელა წმიდისა სამებისსა და უპყრა
 კელსა მისსა და აღადგინა იგი ყოვლითურით
 მრთელი და უვნებელი, და აღიდებდეს ყოველ-
 20 ნივე ღმერთსა. ხოლო გრძნეული იგი იზოა მკუ-
 დარი განთიად სიტყვისაებრ წმიდისა და განით-
 ქვა სახელი წმიდისა მის ქლაქსა მას და გარემო-
 სანახებთა მისთა.

40. მთავარი ვინმე იყო მასვე ქლაქსა შინა
 და მისდა წმიდასა მას ჰეცრეს და მისთანათა
 სამხრობად. ხოლო წმიდასა არა უნებდა მისულა,
 არამედ კუალად არა ინება შეწყუება მთავრისა მის.
 5 არამედ წარვიდა. და ვითარცა დასხდეს სამხრო-
 ბად, მთავარი იგი აგინებდა და რისხვიდა სახლე-
 ულთა თვისთა, რამეთუ იყო გულფიცხელ. მაშინ

მოიწია კმა ზეცით წმიდისა, რომელი ეტყოდა:
 „პეტრე, არა აღმოგივითხვასა წერილი იგი, ვი-
 თარბედ ყოვლისა ცუდისა სიტყვისათვის სიტყა 10.
 მისცენ ვაცთა მას დღესა? და აწ სახელი ჩემი
 შენძლით იგმობის სახლსა მაგასა შინა და შენ
 მანდა ხარა“? ხოლო წმიდამან პეტრე მიხეზ ჰყო-
 მიხეზი რაჲმე, აღდგა მეყუსეულად, და გამოვე-
 დით მიერ და წარვედით. 15.

41. და დღესა მეორესა განვედით მონასტერთა
 მათ, რომელნი იყვნეს გარეშე ქალაქისა მის,
 რათა ყამი წიროს, და მოვიდეს დიდდინი და
 შერაცხილნი მის ქალაქისანი წინაშე წმიდისა და
 იწყეს უბნობად სიტყუათა ცუდთა, ვითარცა არს 5.
 წესი ერისკაცთა. ხოლო ნეტარმან პეტრე არა
 რაჲ მიუგო მათ. და შევედით ერთსა მონასტერ-
 თაგანსა, და აღხდა წმიდად საუურხეველად, რათა
 ყამი წიროს. მაშინ წარმოუდგა ანგელოზი უფ-
 ლისა და ეგულვებოდა გარდამოგდება მისი სა- 10.
 კურთხეველით. ხოლო წმიდამან პეტრე ჰრქუა
 მას ცრემლით: „რა ვყავ ან რომლისა ბრალი-
 სათვის შემამთხესჲვა მას?“ მიუგო ანგელოზმან
 უფლისამან და ჰრქუა მას: „ჰ პეტრე, რომელსა
 დღესა გეგულვებოდის მსხესრპლის შეწირუა, 15.
 ნუ მიუპყრობ სასმენელთა შენთა ურგებთა სიტ-
 ყუათა და ნუ შეაგინებ გონებასა შენსა და განხრ-
 წნი და გარე განუარდები კეთილისა გულსმოღვი-

ნებისა შენისაგან, რამეთუ გონება წმიდა უხესთა-
 20 ეს არს და უფროს ყოველთა მსხუშრპლთა და
 შესაწირავთა წინაშე უფლისა. ხოლო ესე შენ-
 დობილ იყავნ შენდა და ამიერიტეგნ ეკრძალოვი.
 რა უამს გეგულოვებოდის უამის წირუაჲ“. ხოლო
 წმიდა ჰეტრე შეუვრდა ანგელოზსა მას და ით-
 25 ხოვა შენდობაჲ და აღიდებდა უფალსა ღმერთსა.

42. შემდგომად დღეთა რაოდენთამე წარვე-
 დით მიერ და ვიდოდით გზასა ჩუშნსა. ხოლო
 ვიდრეცა ვიდოდა წმიდა იგი, მრავალთა სასწა-
 ულთა აღასრულებდა და მრავალთა ერთა მოაქ-
 5 ცეკვდა ღუთისა სწავლითა თვისითა და მრავალთა
 უძლოურთა და სნეულთა განჰკურნებდა ძალითა
 ქრისტეს ღუთისათა.

43. და ვითარცა გარდახდეს დღენი არა მცო-
 რედნი, დაჟდა მეფედ დიდი ლეონ და იყო დიდი
 მშვიდობა ეკლესიათა ზედა ღუთისათა და მოუ-
 წერა წმიდა ჰეტრეს მოსულად ადგილსა თვისსა
 5 სანატრელმან მან მეფემან. მაშინ მიიქცა წმიდა
 ჰეტრე თვისსა საყდარსა და სამწყსოსა და მწყსიდა
 მათ ქრისტეს ღუთისა მიერ და გარეშე ქალაქსა
 აღაშენა მონასტერი და ეკლესია უშუშნიერი და
 შეკრიბნა ძმანი მრავალნი და განუწყესა მათ წესი
 10 და ვანონი სულიერი და საღუთო.

44. და იმარხვიდა წმიდა ჰეტრე ფრიად და მიმ-
 დემად, ამისთვისცა ფრიადისა მარხვისაგან განირ-

ყუნა სტომაქი მისი. მაშინ ჰრქუეს ვიეთმე, რათა წარვიდეს ცხელთა წყალთა და განიკურნეს. ხოლო ნეტარი იგი წარემართა, და ვითარცა ცნეს 5 მოქალაქეთა წარსულა მისი, შეუდგეს მას ყრმანი არა მცირედნი და იყუნეს მრავალნი კერპთმსახურნიცა. მაშინ უკუეს ნეტარმან პეტრე აღიღო პირი თვისი და იწყო სწავლად ერისა მის და შემდგომად სწავლისა ნათელსცა კერპთმსახურთა მათ 10 სულისა ორასსა. და ყოველნივე იხარებდეს და აღიდებდეს ღმერთსა.

45. შემდგომად ამისსა კუალად იწყო ნეტარმან და წმიდამან პეტრე სატყუად მათდა და ჰრქუა: „ჟამსა მას, რომელსა მოვიწიებით ქუესყანასა ამას პალესტინისსა, ვინებეთ წარსულაჲ მთასა მას. იყო ბერი ვინმე წმიდა შეყენებული სე 5 ნაკსა შინა, რომელსა აქუნდა ორმეოცი წელი გამოუვალად სენავით. და ვითარცა გუხილნა წმიდამან მან ბერმან, განისარა ფრიად და მრქუა მე: „ვეთილად მოხველ, მეო ქართუშლთა მეფისაო“. ხოლო მე ვითხოვე შენდობა და ვთქუ, ვითარ 10 მედ არა ეგრეთ არს. ხოლო მან წმიდამან მომიგო და მრქუა: „ნუ უარყოფ, რომელი წინაშე ჩუენსა ცხად არს ქრისტეს მიერ“. მაშინ გამომიცხადა მე ყოველი გზა ჩემი და მრქუა მე, ვითარმედ ეპისკოპოს იქმნე ქალაქსა და ერსა 15 ხელა მრავალსა. და აწ ოდენ წმიდა ბერი იგი უფ-

ლისა მიიცვალა. რამეთუ ნათელს ვსცემდი რა ერსა
 ამას, ვიხილე სული წმიდა ღუთისა გარდამომავალი
 ემბაზსა ზედა წმიდასა და აღაუსო ნათლითა და
 20 ბრწყინვალეებითა მიუთხრობელითა და კუალად
 ვიხილე ბერისა მის წმიდისა სული, რამეთუ აყ-
 ვანდა ანგელოზთა წმიდათა ღუთისათა დიდებითა
 დიდითა, და ჟერ არს ჩუწნდა, რათა წარვიდეთ და
 ამბორს უყოთ წმიდათა ნაწილთა. ხოლო თქუწნ,
 25 შვილნო ჩემნო, წარვედით საყოფელად თქუწნდა
 დაცულნი ძალითა ღუთისათა“, და ესრეთ განუცე-
 ვეთ იგინი ლოცვითა და კურთხევითა. ხოლო
 ჩუწნ წარვედით წმიდისა მის ბერისა და ვითარ-
 ცა მივიწიენით, ამბორს უყავთ წმიდათა მათ ნა-
 30 წილთა და ვილოცეთ და გამოვედით მიერ.

46. და ვითარ იგი ვილოდით, მივემთხვივნით
 სახლსა ბერისა წმიდისასა და ვითარცა იხილა
 ბერმან ნეტარი და წმიდა პეტრე, აღაუსო სინა-
 რულითა დიდითა და ილოცეს და მოვიითხეს
 5 ურთიერთარს და დასხდეს და დაიწყეს სიტყუათა
 საღუთოთა თხრობად ურთიერთარს და ვითარცა
 მრავალი სიტყუა სარგებელი სულისა წარმოთ-
 ქვეს, უვანასვენელ ჰრქუა ბერმან წმიდასა პეტრეს,
 ვითარმედ პირველ მოსულისა ჩემისა ადგილსა
 10 ამას, ვიხილე ქუბი ერთი და შევედ შინა და ვი-
 თარცა შევედ, ვიხილე გარდაცვალებული ბერი
 ვინმე შუწნიერი და პირი მისი ნათობდა, ვითარცა

მზე. და ვინილე რა იგი, ამბობს უყავ ჰირსა
 მისსა წმიდასა შიშითა და სინარულითა და დავის-
 წავე ადგილი იგი და წარვედ მიუთხარ ყოველთა 15
 ღუთისმოყუარეთა და ვითარცა მოვედით, არღარა
 ვინილეთ წმიდა იგი, ხოლო სსწაული რა-
 მე ჩუწნდალა და აღვაშენეთ ეკლესია ადგილსა
 მას. ამისა შემდგომად ვევედრე ღმერთსა, რათა
 გამომიცხადოს, თუ ვინ იყო წმიდა იგი ბერი. 20
 და მეუწყა ღუთისა მიერ, ვითარმედ მოსე იყო
 ბერი იგი დიდი წინასწარმეტყუშლთა შორის“.
 და ვითარცა გვითხრა თხრობა ესე ბერმან მან,
 რომლისა მისრულ ვიყვენით, დაგუბანა ფერკნი
 და გვისტუმრნა სამდღე და მერმე მოვიღეთ 25
 წმიდა ლოცვა მისი და ვიდოდით.

47. წარმოვედით მიერ და მოვედით ადგილსა
 ერთსა. მრავლით ჟამით იქ წვიმა არ ყოფილიყო.
 და მოვიდეს დაბელნი იგი და ევედრნეს წმიდასა
 ეპისკოპოსსა, რათა ილოცოს უფლისა მიმართ
 და მოსცეს მათ წვიმა. ხოლო რა წმიდამან 5
 ილოცა, მეყუესეულად მოვიდა წვიმა ძლიერი და
 ვითარ იხილეს ესე სსწაული მევერზეთა, მოიქ-
 ცეს და ნათელ იდეს კელითა წმიდისა პეტრესითა
 და ყოველივე აღიდებდეს ღმერთსა.

48. და წარმოვედით მიერ და მოვედით სო-
 ფელსა ერთსა და გვიმასპინძლა ვაცმან ვინმე
 უშვილომან და ევედრა წმიდასა მას პეტრესა,

რათა ლოცუა ჰყოს მისთვის და მოსცეს მას
 5 უფალმან შვილი, და მოვიდეს სსუანიცა მრავალნი
 ამისვე თხოვისათვის. ხოლო წმიდამან ჰეტრე
 ულოცა მათ და დასწერა ჟუარი და ყოველნივე
 შვილიერ იქმნეს და აღიდებდეს ღმერთსა და ესრეთ
 სადაცა იგი ვიდოდით ქალაქთა ანუ სოფელთა,
 10 ყოველთაგან სასწაულთა აღასრულებდა ძალითა
 ღუთისათა.

49. კუალად მივედით სსუასა სოფელსა, რომ-
 ძელსა ერქუა ატომოკონ, და მუნ გარდავიხადეთ
 წმიდა მარტვილიაჲ. და იყო ვინმე კელოსანი
 დედოფლისა მას სოფელსა სახელით ელია დი-
 5 დათ გლახაკთმოწყალე და სტუმართმოყუარე
 და იყო იგი ყრუ და ვითარ ვსხედით მისთანა,
 აღიღო მან საბეჭური ნეტარისა და წმიდისა ჰეტ-
 რესა და დაიდუა ყურთა ზედა თვისთა და მეყუ-
 სეულად აღეხუნეს მას სასმენელნი მისნი და
 10 აღიდებდა ღმერთსა.

50. ამან ელია დაგვიმჭირნა ზაფხულ ყოველ.
 რამეთუ იყო აღვილი იგი გრილ და ჰაეროვან
 და იყო მუნ ცბა ერთი და წარავლინის ელია
 ყრმა თვისი თევზობად ცბასა მას და ყოველთა
 5 დღეთა შეიპყრის ერთი თევზი, ვითარცა ღუთისა
 განგებითა, და მოართვიან ეპისკოპოსსა წმიდასა
 ჰეტრეს, რამეთუ სსუა ვერა შეიპყრიან. იყო
 ვინმე მთავარი სნეული მახლობელად და ითხოვა

თევზისა მისგან, რომელსა მართმიდეს ეპისკოპოსსა. ხოლო ელია წარავლინნა მეთევზენი და მას დღესა შეიპყრნეს ორნი თევზნი და წარსცა წმიდამან პეტრე ერთი თევზთა მათგანი მთავრისა და მიუძცნო მას ესრეთ, ვითარმედ ვესაუქრისცესა ღმერთსა ჩემსა, რომელ ამით განიკურნო. ხოლო მთავარმან მან ვითარცა ჭამა თევზისა მისგან, მეყუსეულად განიკურნა და აღიდებდა ღმერთსა.

51. ამისა შემდგომად წარმოვედით მიერ და მიკემთხვიკენით სოფელსა ერთსა რასამე, რომელსა ყოვლადვე თესულობა არა იყო, რამეთუ სასრდელი მათი ღვინითა მოიწიწიან. და მას უამსა დაესხა ჭია ვენაკთა მათთა და აუწყეს ესე წმიდასა პეტრეს, ხოლო წმიდამან მან მისცა მათ ევლოგია, რათა აპყრონ, და ვითარცა აპყროეს, მეყუსეულად უჩინო იქმნეს ჭიანი იგი და ვაცნი იგი აღიდებდეს ღმერთსა.

52. მიერ წარმოვედით და მიკედით მონასტერსა წმიდისა მამისა ესაქსასა და დაყუკენით მისთანა მრავალნი დღენი. ხოლო ნეცარნი და წმიდანი მამანი იგი უთხრობდეს საქმეთა მათთა ურთიერთარს მადლითა წინასწარმეტყუმლეობისათა და რამეთუ იყუნეს წმიდანი იგი, ვითარ ორნი მნათობნი დიდნი სოფელსა შინა, და ორთავანვე დიდნი სასწაულნი იქმნებოდეს და მრავ-

ვალნი სულონი შეეძინებოდეს ღმერთსა სწავლითა
 10 მათითა. ხოლო იყუნეს სენაკნი მათნი კიდესკიდე
 ვითარ ოთხ მილიონნი და ესრეთ იღუწიდეს უფ-
 ლისა მიმართ. და მამა ესაია თვისითა კელთა-
 საქმართა იხრდებოდა და ფრიადითა მარხვითა
 ძალი მისი მოკლებულ იყო და კვირიაკით კვი-
 15 რიაკედ განაღის ვარი სენაკისა თვისისა და მიუ-
 ძღუნის წმიდასა პეტრეს ეკლოგიად ორი სე-
 ფისკუერი. ხოლო წმიდამან პეტრე მიუძღუნის
 ნეტარსა მას და წმიდასა ესაიასა ორი თევზი.
 და ოდესმე ერთად შეკრბიან წმიდანი იგი და ისა-
 20 რებდიან სულიერად ქრისტეს მიერ.

53. და ვითარცა დაასრულა დიდმან ლეონ-
 მეფემან ათშვიდმეტი წელი მეფობისა თვისისა,
 უფლისა მიმართ მიიცუა ღიღათ ღუთისმსახური
 და წმიდათმოყუარე. ხოლო შემდგომად ნეტა-
 5 რისა მის მეფისა ლეონისა დადგა მეფედ ზენონ.
 იგიცა ღუთისმოყუარე და მოწმუნე. (ხოლო
 სსუანი მოთხრობანი იტყვიან: იყო იგი მწუაღე-
 ბელ შემრევკელთაგან უთავ დია). ამას მეფესა ზე-
 ნონსა ესმა წმიდათა ამათ მამათა თვის ესაიასი
 10 და პეტრესი და დიდთა სასწაულთა მათთა, რომ-
 ძელსა ჰყოფდეს, და წარმოავლინა საკუთარი თვისი
 საჭურისი და მოუწოდა ორთავე. ხოლო ესმა
 რა წმიდასა და ნეტარსა პეტრეს, შეწყუნა ფრიად
 და შევიდა საღიაკონოდ და ტიროდა ფრიად და

ეკედრა ღმერთსა, რათა არა იქმნას წარსულა 15
 მისი მეფისად. და იკლტო-და ღამით ნეტარი პეტრე
 და წარვიდა ქუმწყანასა უცხო-სა. ხოლო საჭუ-
 რისმან მან წიგნი მეფისა მოართუა ნეტარსა
 ესაიას. და ვითარცა წარივითხა ნეტარმან ესაია
 წიგნი იგი მეფისა, შეწუხნა იგიცა ფრიად და ით- 20
 ხო-ვა ღუთისაგან სნეულება გუამისა და მეყუ-
 სეულად განსივნა ყოველი გუამი მისი, ვიდრემ-
 დის ვერ ეძლო- სენაკითაცა გამო-სულა. და ვი-
 თარცა იხილა ესე საჭურისმან მან, უღონო იქმნა
 და წარვიდა სახედ თვისად. და რაჟამს წარვიდა 25
 საჭურისი იგი, ვუალად განმრთელდა მამა ესაია.
 ამის ნეტარისა მამისა ესაიას ცხოვრება და მო-
 ქალაქობა და დიდნი იგი მოღუაწებანი და სასწა-
 ულნი აღგვიწერიან სხუაგან მადლითა ღუთისათა.
 არამედ ჩუმწ პირველსავე თხრობასა მოვიდეთ 30
 წმიდისა პეტრესსა.

54. და ვითარცა წარვიდა ნეტარი და წმიდა
 პეტრე ქუმწყანასა უცხო-სა, მიემთხვივა მებოსტ-
 ნესა ვისამე ვაცსა სახიერსა და დიდათ წრფელსა,
 რომლისა თანა საუანე ჰყო. ერთსა უკუმწ ღამესა
 იხილა ჩვენება მებოსტნემან მან, რამეთუ ხედ- 5
 ვიდა ვაცსა ვისმე, რომელი ეტყო-და მას ესრეთ,
 ვითარმედ წარვედ ადგილსა ამას რომელსამე და
 უჩუმწნებდა კელითაცა და რამეთუ არიან მუნ
 მარტვილნი წმიდათანი, აღმოიხუენ და მოჰტუა-

- 10 რენ იგი ქართუშლსა ეპისკოპოზს ჰეტრეს. სოლო განთიად აუწყა მებოსტნემან ჩვენება ესე ნეტარსა ჰეტრეს. და ჰრქუა წმიდამან ჰეტრე მებოსტნესა: „შვილო, წარვედ და უთხარ თქუშნსა ეპისკოპოზსა და რაეცა მან ბრძანოს, ეგრეთ-
- 15 ცა ჰქმენ“. მაშინ წარვიდა მებოსტნე იგი და აუწყა ეპისკოპოზსა მის ადგილისასა. და წარმოვიდა ეპისკოპოზი იგი და მოვიდა ნეტარისა ჰეტრესსა და შეკრიბეს ერი მრავალი და ჰყვეს ლიტანია და დიდითა ჰატვიტთა აღმოიხუზნეს ნაწილნი იგი წმი-
- 20 დათა მოწამეთანი. და უბრძანა წმიდამან ჰეტრე მებოსტნესა მას, რათა ილოცოს და ეუწყნეს სახელნიცა წმიდათა მათ მარტვილთანი. და ილოცა კეთილმან მან მებოსტნემან და ვითარ ილოცვიდა, იხილნა სამნი ვაცნი წინაშე მისსა გვირგვინო-
- 25 სანნი და ბრწყინვალენი დიდად და ეტყოდეს მას, ვითარმედ სახელნი ჩუშნნი ცათა შინა აღწერილ არიან, სოლო ქუშყანას სახელნი ჩუშნნი ესე არიან: პირველსა ლუქა, მეორესა ფოქა და მესამესა რომანოზ გურქვიან. სოლო ვიწამენით
- 30 სპარსეთის მთავრისა მიერ აღსარებნისათვის უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესსა და რამეთუ ცეცხლითა დაიწუნეს გუამნი ჩუშნნი და სხუა არა დაშთომილ არს გარნა ესე, რომელსა ხედავთ. მაშინ აღაშენეს ეკლესია სახელთა მათთა ზედა და დაჰკრძალნეს
- 35 მას შინა ჰატვილსანნი იგი ნაწილნი წმიდათანი და

აკურთხეს ეკლესია ორთავე ეპისკოპოსთა ზოგად და ვადიდებდით ღმერთსა ყოველნივე.

55. და ვიდრე ვიყუენითლა მუნ, მოვიდა ჩუშნ-
და ეკლესიისა ჩუშნისა ხუცესთა უხუცესი და
ჭრქუა წმიდას პეტრეს, ვითარმედ სხუა წიგნი
მოივლინა მეფისა ზენონისაგან სიწმიდისა თქუშ-
ნისა მომართ, რომელსა წერილ იყო ესრეთ: 5
ლოცუა ყავთ ჩემთვის, წმიდანო მამანო, და ნუ-
ღარა მოშურებით აქა. ხოლო წმიდამან პეტრე
განისარა ფრიად, ვინაჲთგან არღარა აღუწოდა
მას მეფემან.

56. მაშინ უკუშ წარმოვედით მიერ და მო-
ვიდოდით ქალაქად ჩუშნდა და ვითარცა მო-
ვეახლენით ქალაქად, ცნეს მოქალაქეთა და გა-
მოვიდეს ყოველნივე სანთლებითა და საკმე-
ველითა და მოეგებნეს წმიდას პეტრეს ეპის- 5
კოპოსსა და შეუკრდეს და თაყვანი სცეს.
ხოლო წმიდამან პეტრე აკურთხნა და მოიკითხნა
ყოველნი ამბოზის ყოფით და ვითარცა ამბოზს
უყვეს ყოველთა წმიდასა პირსა მისსა, წარვე-
მართენით ქალაქად და შევედით წმიდად ეკლე- 10
სიად და ვილოცეთ და დიდად განისარა ყოველ-
მან ქალაქმან მოსულისათვის მწყემსისა მათისა
და შემოკრბა სიმრავლე დიდძალი, რათა ისმი-
ნონ სწავლა წმიდისაგან, რამეთუ ყოველნივე
წყურთიელ იყუნეს ხილვად და სწავლად წმიდისა 15

მისგან. ხოლო წმიდამან პეტრე და ჭეშმარიტ-
 მან მწყემსმან დასწერა ჟუჲარი ერსა მას და იწყო-
 სწავლად და ეტყოდა: „შვილნო ჩემნო და ძმანო
 და საყუარელნო ქრისტეს ღუთისანო, ყო-
 20 ლისა პირველად დაიცივთ წმიდა და მართალი
 სარწმუნოება წმიდისა სამებისა. მოიგეთ სასო-
 ება, სიყუარული, სიმდაბლე, სულგობელება,
 მოთმინება და სახიერება, შეიკვებთ გლახავთ-
 მოწყალება, სტუმართმოყუარება და უცხოთა
 25 შეიწყნარებდით და განუსუტუნებდით, ყოველნივე
 შურებოდით შრომასა სულიერსა და საღუთოსა,
 ყოველნივე ბაძევდით საღუთოსა და წმიდათა
 ვაცთა, ყოველთა კეთილნი საქმენი და სათნოე-
 ბანი წმიდანი მოიგენით, წინამძღუართა დაემო-
 30 ჩილენით, ვითარცა ღუთისა ანგელოზთა, და სიტ-
 ყუათა მათთა დაიმარხევდით, ვითარცა პირისაგან
 ღუთისა გამოსრულთა“. ესე და სხუა მრავალი
 ესე ვითარი სწავლა წარმოუთხრა მათ წმიდამან
 პეტრე და ყოველნი მხიარული იყუნეს და აღი-
 35 დებდეს ღმერთსა.

57. მეზმე წარგვიყვანა მთავარმან ქალაქისა-
 მან სამხრობად და ვითარცა დაუსხედით, მოვიდა
 ვინმე და გუაუწყა ჩუენ საიღუმლოდ, ვითარმედ
 მამა ესაია გარდაიკვალა. ხოლო ჩუენ არა ვინე-
 5 ბეთ თხრობად წმიდისა პეტრესსა ყამსა მას,
 არამედ თვით მან უწყოდ სულისა მიერ წმი-

დისა, რო-მელი მკვიდრ იყო ნეტარისა მისთანა.
 და ვითარცა აღვდევით ტაბლით, გუარქუა ჩუშნ
 პირველ თხრობისა ჩუშნისა, ვითარმედ შვილნო-
 ჩემნო, რადა გიკვირს სიკუდილი მამისა ესაისი, 10
 რამეთუ მოციქულნიცა და წინასწარმეტყუ-
 ნივე მოკუდეს და თვით თავადმან ჩუშნმან
 უფალმან იესო ქრისტემან მიიღო სასუმელი ესე.
 და ვითარცა ესე გუარქუა, შევიდა სენაკად თვი-
 სად და დაუარდა წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და 15
 წმიდისა დედოფლისა ღუთისმშობლისასა და ტი-
 როდა ფრიად და მკურვალედ და იტყოდა: „ჰ ნე-
 ტარო და წმიდაო მამაო ესაია, შენ დღეს მოჰ-
 კუშდ და შემდგომად მცირედისა მეცა მოსიკუ-
 დიდ ვარ. არამედ აწ ნუ დასცხრები მეოხებად 20
 ჩუშნთვის წინაშე წმიდისა სამებისა“. და ესრეთ
 ეკედრებოდა ღმერთსა მყოვარ ჟამ ცრემლითა
 მკურვალითა ნეტარი პეტრე.

58. და შემდგომად დღეთა რაოდენთამე მო-
 ვიდა მოწაფე მამისა ესაიასი და გუითხრა სიკუ-
 დილი მისი. ხოლო ჩუშნ ვკითხევდით ჟამსა
 მას მიცუალეებისა მისისა და გუითხრობდა ჩუშნ
 ესრეთ, ვითარმედ ოდეს იგი სნეულ იყო, მივე- 5
 დით ვარსა სენაკისა მისისა და იგი ვიეთმე ეუბ-
 ნებოდა. და ვითარ შეუვდით, არაუნ ვპოეთ გარნა
 იგი ხოლო მარტო და ვკითხეთ მას: „მამაო, ვინ
 გეუბნებოდა“? ხოლო მან ნეტარმან მოგვიგო-

10 და გუარქუა ჩუშნ, ვითარმედ დიდი იოანე
 წინამორბედი და ნათლისმცემელი მოვიდა და
 მეტყუადა მე, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა
 მოვიდეთ და განვიყუანოთ სული შენი. ხოლო
 მე ვკითხე დიდსა იოანესა. ვითარმედ ჩასა სჭამ-
 15 და, იყოფებოდა რა უდაბნოსა, და მრქუა მე:
 „მწუანეთაგან და მცენარეთა და თივათაგან იყო-
 სასრდელი ჩემი“. და ვითარცა ესე ვკითხრა მა-
 მამან ესაია, განვკვირდით და ვადიდებდით ღმერთსა.
 და შემდგომად სამისა დღისა დაიძინა და წარვიდა
 20 უფლისა და შემოვრბეს მამანი და იკუროთხნეს
 წმიდათა ნაწილთა მისთაგან და დაკრძალეს პატრი-
 ოსანი და წმიდა გუამი მისი. ხოლო მე, ვიდრე
 ცოცხალა იყო, ვკითხე მას: „ყოვლად წმიდაო
 მამაო, რაჲ ვყო მე შემდგომად შენსა?“ ხოლო
 25 მან ნეტარმან მრქუა: „შვილო ჩემო, შენ წარ-
 ვედ წმიდისა პეტრე ქართველისა და ეპისკო-
 პოსისა თანა და მისთანა იყოფებოდე, რამეთუ
 შემდგომად ჩუშნსა აღვილი ესე მოოვრებად
 არს“. და ევრეთცა იქმნა.

59. უამსა მას ერთსა მოვინმევიდა ურია თევ-
 ზისა მონადირე და იყო იგი წყლით მანკიერ და
 მუცელი მისი განსიკვებულ იყო სასტიკად. შე-
 უვრდა ნეტარსა და წმიდასა იოანეს და ეკედრე-
 5 ბოდა, რათა განკუურნოს. ხოლო წმიდამან ჰრქუა
 მას: „წარვედ სახედ შენდა და უკეთუ ამას ღამესა

განიუზნო, ხვალე მოვედ და ნათელ გცე, და უკეთუ არა განიუზნო, ნუღარა მოხვალ“. ხოლო ურია იგი ღამესა მას განიუზნა ლოცვითა წმიდისა მამისა პეტრესითა და განთიად მოვიდა და ნათელილო კელითა წმიდისა ეპისკოპოსისა პეტრესითა და აღიდებდა ღმერთსა.

60. ნეტარსა და წმიდასა მღუდელთმოძღუარსა პეტრეს თავსა ყოველთა სათნოებათსა მოეგო ლოცუა და წიგნის ვითხუა, რამეთუ ყოველადვე და მარადის ივითხუნ წიგნთა საღუთოთა და იტყუნ წმიდა იგი, ვითარმედ ვითარცა მტელი მზუარისა უწყლო განკმის და უნაყოფო იქმნის, ეგრეთვე მონება მონაზონის უნაყოფო არს თვინიერ წიგნის ვითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა.

61. ხოლო აწ უამი არს უწყებად თქუწნდა, მხანო ჩემნო საყუარელნო, დაძინებისათვის წმიდისა მღუდელთმოძღუარისა პეტრესა და აღსასრულისა და მისულისათვის წინაშე წმიდისა სამებისა, რამეთუ არცა თვით უმეცარ იყო ნეტარი იგი დღესა და უამსა მიცვალებისა მისისასა, არამედ ფრიადცა მეცნიერ. ერთსა უკუწ დღესა მოუწოდა ყოველთა და ასწავა მათ სწავლა საღუთოთა და სულიერი განგობნობილად და ესოდენ ღმობიერ იქმნეს ყოველნივე სწავლითა მის წმიდისათა, ვიდრეცა მრავალი ცრემლი დასთხი-

ეს ყოველთავე. და შემდგომად სწავლისა გუბრ-
 ქუა ყოველთა განცხადებულად, ვითარმედ შვილ-
 ნო და ძმანო ჩემნო, უამი ჩემი მოახლეებულ არს
 15 და შემდგომად მცირედთა დღეთა განგეშორები
 თქუენ და წარვალ გზასა, რომელი არა ოდეს
 არა წარმივლიეს. ხოლო თქუენ, საყუარელნო,
 ივსენებდით სიყუარულსა ჩემსა და ნუ დამივიწ-
 ყებთ მე. და ვითარცა ესე ჰრქუა წმიდამან, შეეღმა
 20 ყოველთა და ფრიად იგლოეს. ხოლო წმიდამან
 მისცა მშვილობა ჟუარის წერით და განუტყუნა
 კუროთხევით. და თავადი შევიდა სენაკსა მოღუა-
 წებისა თვისისა და დავარდა წინაშე ხატსა მაცხო-
 ვრისასა და ცრემლითა დიდითა და მკურვალითა
 25 ევედრებოდა მეუფესა მას ყოველთასა სამწყსოთა
 თვისთათვის და ყოვლისა სოფლისათვის.

62. მამა ვინმე იყო ჩუენთანა სახელით ათა-
 ნასე ვაცი წმიდა, სახიერი, მშვიდი და მდაბალი.
 მოწაფე ყოფილ იყო წმიდისა მამისა ზენონისა
 სვიტელისა. ხოლო რაჟამს იგი მიიცვალებოდა
 5 მამა ზენონ, ჰკითხა მას ამან ათანასე, ვითარმედ
 რაჲ ვყო, მამო, რამეთუ დამიტყუებ. ჰრქუა მას
 მამამან ზენონ: „შვილო ჩემო ათანასე, რაჟამს
 მე მოვკუდე, შენ წარვედ წმიდისა ჰეტრე
 ეპისკოპოსისა ქართუელისა და იყოფებოდე
 10 მისთანა, რამეთუ რომელი შეუდგეს და მორ-
 ჩილებდეს მას, იგი გზასა ჭეშმარიტებისასა ვალს“.

და ვითარცა დაიძინა მამამან ზენონ, მოვიდა ათანასე წმიდისა პეტრესსა და დაჰყო ორი წელი ჩუმნათანა.

63. ესე კეთილი მამა ათანასე ღამესა ერთსა ტიროდა მწარედ და ესმა ნეტარსა პეტრესა კმა ტირილისა მისისა და განალო ვარი სენაკისა თვისისა და ჰკითხა მას და ჰკრძა: „შვილო ათანასე, რაჲ არს, რადა სტირ ესრედ მწარედ?“ ხოლო ათანასე ჰკრძა: „რასა მკითხავ, წმიდაო მამა, რომელსა არცა შენი სიწმიდე უმეცარ არს?“ და კუთლად წმიდა პეტრე ეტყოდა სიმდაბლით: „თქუ, შვილო, რამეთუ უმეცარ ვარ“. მიუგო ათანასე და ჰკრძა: „სწ წმიდაო, ფრიად მეცნიერ ხარ ყოვლისაჲ, არამედ მეცა მოჩილოებისათვის ვრძა, რა იგი ვიხილე. ამას ღამესა მოვიდა ჩემდა უღირსისა ამის მოძღუარი ჩემი წმიდა მამა ზენონ და მომიკითხა და მრძა მე: „ბრძანება გამოვიდა უფლისა მიერ, რათა შემდგომად მკირეთა დღეთა მიიცუალოს უფლისა წმიდა პეტრე ეპისკოპოსი ქართუმწლი, რამეთუ ითხოვეს წმიდათა წინაშე ღუთისა, რათა განვიდეს კორცთაგან და დაემკვიდროს ჩუმნათანა, რამეთუ ფრიად ტანჯნა კორცნი შენისა სიყუარულისათვის და აწ მოუძღოებულ არს. ხოლო უფალმან ჰკრძა მათ: „ჯერ არს ყოფა მისი ქუმწანად, რათა მრავალნი სულნი შეიძინეს“. ხოლო წმი-

დანი იგი აიძულებდეს და ეკედრებოდეს, რათა
 25 წარიყუანოს მათ თანა. მერმე ბრძანა მეუფემან
 და უფალმან ყოველთამან, რათა შემდგომად ათისა
 დღისა შეკრბენ ყოველნი წმიდანი და მივიდენ
 ნეტარისა პეტრე ქართველისა ეპისკოპოსისსა
 და სული მისი მოიყუანოს წმიდამან პეტრე
 30 მოწამემან პატრიარქმან აღიქსანდრიელმან“. ესე
 ჩუქნება უთხრა ძმამან მან ათანასე წმიდასა პეტ-
 რეს ტირილითა მწარითა და ეტყოდა წმიდა-
 სა: „ვიგლოვდეთ სიბღლესა ჩუქნსა, ☩ წმიდაო.
 რამეთუ დამიტევებ“. ხოლო წმიდამან პეტრე
 35 ასწავა მოთმინება და ნუგეშინის სცა სწავლითა
 საღუთო-ეთა.

64. ამისა შემდგომად არა რაჲსა გემო იხილა
 წმიდამან, არამედ ილოცვიდა კელგანპყრობით
 ათთა მათ დღეთა და რაჲ დღე მოგვიწოდის წი-
 ნაშე მისსა და გუასწავლინ სწავლითა სულიე-
 5 რითა და ნუგეშინის გუცემნ და განგუამტვიცებნ
 და განგუწესებნ წესთა და კანონთა ეკლესიისათა. და
 ვითარცა მოიწია დღე იგი მეათე, შევიდა წმიდად
 ეკლესიად და მოუწოდა ყოველსა მას ქალაქსა სამ-
 წესოსა თვისსა და ასწავა მათ ფრიად სარგებელი
 10 სულისა. ამისა შემდგომად აღასრულა წმიდა უა-
 მის წირუბა და ეზიარა პირველ თვით თავადი და
 მერმე აზიარნა მღუდელნი და ყოველი ერი. და
 ვითარცა საღუთო მსახურება აღასრულა, დაუ-

ტყვა შუილობა ყოველთა და ჰრქუა: „საყუა-
 რელნო შვილნო ჩემო, ამიერიტეან არღარა 15
 მინილოთ მე“. ხოლო ერნი იგი ვოდებდეს ვო-
 დებითა დიდითა და მღუდელნი და დიაკონნი ამ-
 ბორს უყოფდეს წმიდასა პირსა და კელთა. ეგ-
 რეთვე ერნიცა ყოველნი შეესებოდეს და ამბორს
 უყოფდეს წმიდათა ფერვთა და სამოსელსა მას, 20
 რომელი ემოსა, და ტიროდეს ყოველნივე მწა-
 რედ. ხოლო წმიდამან ჰრქუა: „რასა ჰხამთ და
 შეაშფოთებთ სულსა ჩემსა? წარვედით, შვილნო
 ჩემო, სახედ თქუჩნდა და განისუჩნეთ და კუა-
 ლად რაჟამს ჟერ იყოს, მოგიწოდო თქუჩნ“. 25
 და ესრეთ ძლით დაარწმუნა მათ და წარვიდეს
 საყოფელად მათდა. ხოლო ჩუჩნ გუჩქუა: „გან-
 ისუჩნეთ თქუჩნცა, შვილნო ჩემო, და ნუ შე-
 მაწუხებთ“. და ესრეთ წარმოგუაჲლოინნა ჩუჩნ
 სამკრობად. 30

65. და თვით წარვიდა სენაკად თვისა ძმისა
 ერთისა თანა და ილოცვიდა უფლისა მიმართ. და
 ვითარცა აღვდევით ტაბლით, მიგვიწოდა ყო-
 ველთა წინაშე მისსა და ვიდრე იგი მივიდოდით,
 გუჩქუა სული სულნელებისა საკვირველი. და 5
 ვითარცა შევედით წინაშე წმიდისა მის, თაყვანის
 ვეცით. ხოლო ნეტარმან მან და წმიდამან ჟუარნი
 დაგუწერა ყოველთა და გუაჲურთხნა და განი-
 მარტნა ფერვნი მისნი წმიდანი და გამოისახა

10 ჰირსა მისსა სახე ჰატო-სნისა ჯუარისა და ჰრ-
ქუა: „გელთა შენთა შეკვედრებ სულსა ჩემსა; უფა-
ლო იესო ქრისტე ღმერთო ჩუწნო“. და ესრეთ
დაიძინა ძილი იგი მართალთა თვინიერ ყოვლისა
ჭირისა და სნებისა და ცკვილისა.

66. და მყის განითქუა მიცუალეა წმიდისა
მის და შემოკრებებოდეს ერნი ურიცხუნი ქალა-
ქელნი და გარემო სოფლებისანი და მთავარნი
და დიდებულნი და გლახავნი, მცირენი და დიდნი,
5 ყოველნი მოვიდოდეს და ცრემლთა დათხევითა
ამბორს უყოფდეს წმიდათა ნაწილთა მისთა.
ეგრეთვე ყოველთა ყოვლით კერძოვე მოყუან-
დეს უძლურნი და სენითა შეპყრობილნი და ბრძანი
და მკვლობელნი და ღრევილნი და განზღვე-
10 ულნი და ყოველნი სენითა ფიცხელითა გვე-
მულნი და ეშმაკეულნი. ყოველნივე ვითარცა
შეოდენებოდეს წმიდათა მათ ნაწილთა და სა-
მოხელსა მისსა, მეყსა შინა განიკურნებოდეს და
ადიდებდეს ღმერთსა. და იყო სინაზრული დიდი
15 და მწუხარება ცრემლთა განზავებული. სინა-
ზრული უკუწ იყო სასწაულთათვის და კურნე-
ბათა მათთვის დიდთა, რომელნი იქმნებოდეს წმი-
დათა ნაწილთაგან ჰეცრესსა, ხოლო მწუხარება და
გლოვა ამისთვის. რომელ დაავლდეს ესე ვითარსა
20 მნათობსა. ხოლო სამდღე ვერ უძლეოთ დამარხუად
ნეცარისა მის მომავალთაგან ერთა ურიცხუთა.

67. შემდგომად სამისა დღისა ძლით უკუშ
 შეუძლეთ და დაუმარხეთ ეკლესიასა შინა თვისსა
 სუნნელებითა დიდითა და კერეონთა სიმრავლითა
 და დიდითა დიდებითა, ვითარცა შუშნო-და მს.
 ხოლო სუნნელება გუამისა მისისაგან ესე ვი- 5
 თარნი გამოვიდო-და, რომელ სძლეუდა და დაჭყარ-
 ვიდა ყოველსა სუნნელებასა ამისა სოფლისასა,
 ვითარცა მზე ვარსკუთლავთა ნათლით.

68. აღესრულა უკუშ წმიდა და ღმერთშემო-
 სილი მამა ჩუშნი პეტრე ქართუშლი და ეპისკო-
 პოზი ქალაქისა მაიუმისა, რომელ არს პალე-
 სტინეს, თთუშსა დეკემბერსა დღესა პარასკევსა 5
 სამეოცდახუთისა წლისა უამთა ზენონ მეფისა
 ბერძენთასა.

69. ხოლო მე გლახავი მოწაფე მისი ქართ-
 ლითგანვე უკანა შეუდექ წმიდასა მას, ვიდრე
 მიცუალებადმდე მისა. ამისთვისცა აღუწერე ცხო-
 ვრება მისი და სასწაულნი თვალითა ჩემითა ხი- 5
 ლული და ყურიითა სმენილი, რამეთუ თვით იგი
 ნეტარი და წმიდა არას დაგვიფარვიდა ჩუშნ,
 ვითარცა მამა სახიერი შვილთა თვისთა, სარგე-
 ბელისათვის ჩუშნისა, არამედ გუაუწყებლის
 ჩუშნებათა და გამოცხადებათა უფლისა მიერ.
 ხოლო სასწაულთათვის თვით თვალნი ჩუშნნი 10
 იყუნეს მოწამე უტყუველი. და უწყის ქრისტე-
 მან, რომელ მრავლისაგან მცირედნი აღმიწერიან

და ვითარცა ზღვისაგან ვრცელებისა და დიდად განფენილისა ნაწვეთნი ვნინოდენნი გამო-მისყმან, რათა
 15 არა სიმრავლისათვის სასწაულოთასა ურწმუნოდ აღუჩნდეს ვისმე მტერისა მიერ მოშურნისა. ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ ცყუვილი და ურწმუნება საღებოთათა შინა წერილთა და ცხოვრებასა შინა წმიდათასა, ვითარცა იგი პირველვე ვსთქუ.

70. არამედ ჩუწნ, ჭი ძმანო, ვბამევედეთ ცხოვრებასა წმიდათა მამათა ჩუწნთასა და მეოხ
 ვყოფდეთ მათ წინაშე წმიდისა სამებისა და უფროსად ნეტარისა ამას და წმიდასა მღვდელთ-
 5 მოძღვარისა პეტრეს. სამკაულისა და სიქადულისა ქართუწლოთასა და მეოხსა ყოვლისა სოფლისასა. და რათა ამის წმიდისა მამისა პეტრეს მიერ განსწავლოულნი ამისითავე მეოხებითა ამისთანა ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა ქრისტეს იესოს
 10 მიერ უფლისა ჩუწნისა, რომელსა შუწნის დიდება, პატრივი და თაყვანისცემა თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლადბლოიერით და ცხოველსმყოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე. ამინ. დიდება ღმერთსა.

ანდერძი მთარგმნელისა

ესე ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუწნისა პეტრე ქართუწლისა ამას კურთხეულსა

და სანატრელსა ზაქარისა მოწაფესა მის წმი-
 დისა პეტრესსა ასურებრითა აღეწერა, ვინაჲთ-
 გან ფრიად მეცნიერ ყოფილა მათსა ენასა და 5
 კუთლად რამეთუ პალესტინეს ასურნი მრავალნი
 არიან და დიდ და უფროსად ქალაქსა მაიუმიისსა,
 სადა იგი წმიდა პეტრე მღუდელთმოძღურობდა.
 ხოლო მე გლახკუმან მაკარ ხუცესმან გარდმო-
 ვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ 10
 ფრიად მეცნიერ ვიყავ მეცა მათსა ენასა მადლითა
 თქუშნითა. და ლოცუა ჰყავთ ჩემ ცოდვილისათ-
 ვის, წმიდანო ღუთისანო, რომელთაცა აღმო-
 ივითხოთ და ისმინოთ. ამინ.

ანდერძი მხართველისა

წმიდანო ღუთისანო და მამანო ღმერთშემო-
 სიღონო, თუმცა არა ღირს ვარ, გარნა ქრისტეს
 მცნებათა (sic) და ლოცუა ჰყავთ ჩემთვისცა პავლე
 ხუცისა და დევანოზისა. დაღაცათუ წერა არა ვი-
 ცოდო, არამედ გულის მოდებინება ფრიად მაქუნდა. 5
 ღუთისა სახელითა ვიტყვი და მანვე მხოლომან
 ღმერთმან უწყის, თუ რა ჭირი მინახავს ამის
 წმიდისა და ოქროზანისა და მნათობისა ჩუშნისა
 ცხოვრებისა წერასა, და ნუ შემეწუხდებით, გაცა-
 მივრცელებია შესავალითაცა და სასწაულთა მიწ- 10
 ყებითა და ბოლოსა კეთილად დასრულებითა,

რამეთუ მე დიდად უგუხურ ვარ და ვიყავ, მაგრა
 რომლისა დედ[ნ]ისაგან ვწერდი, არ ვიცი, თუ რა
 ვიღავის დაეწერა აშლით და წინაუკუმო და არცა
 15 შესავალი რა იყო და არცა დასასრული. წიგნი
 საეკლესიოდ საკითხავი არა აშლილი გამს და
 წინაუკუმო. ყოველსავე ზედა შემინდევით ღუთისა-
 თვის და ლოცუჲსა წმიდასა თქუჲსნსა მომივსენეთ.
 და ვინ პირველ წარიკითხოს გულისუმის ყოფით
 20 ცხოვრება წმიდისა ჰეტრესი და ესეცა მან ცნას,
 რომელ არა ფრიად უგუხურებით ვიტყვი. უფალ-
 მან ღმერთმან მეოხებითა ყოვლადწმიდისა დე-
 დოფლისა ღუთისმშობლისათა და წმიდისა ნე-
 ტარისა ჰეტრესითა შეგვიწყალოენ. ამინ.

Разночтенія къ тексту I.

I = рукопись Азіатскаго Музея (Библиотека Броссе № 71).

c = новѣйшій списокъ, съ помѣткою на французскомъ языкѣ: Copie du ms. de l'Académie de St.-Petersbourg; этому списку принадлежать и разночтенія безъ указанія источника.

a = новѣйшій списокъ краткой редакціи.

- Гл. 1: 2 I ცხოვრებისა. — 3 I ჰეგრესსა. — 14 I შეჰსწიზნა. — 17 I სუნნელებისად. — 19 სუნნელები.
- Гл. 2: 9 I ტყუულად. — 11 I ტყუილი. — 15 I შეუდექ.
- Гл. 3: 1 I თევდოსი. — 3 I თევდოსი и въ другихъ мѣстахъ такъ же. — 4 I უარაზბარ კური. — 5 I მეფობითვან. — 6 I უარაზბარ კურ. — 9 I ექადავა. — 26 I ქრისტოანისათა.
- Гл. 4: 5 I მწუხრისა. — 18 წინაშე] I წმიდა.
- Гл. 6: 16 I მოზვან[ო]ს. — 18 I კოსტანტინოლად.
- Гл. 8: 5—6 I მოზვანოს и въ другихъ мѣст. такъ же.
- Гл. 9: 20 I მოართვის. — 22 I იქცევოდეს. — 35 I განჰკვირდეს: вообще въ рукописи I замѣчается злоупотребленіе объективнымъ мѣстоименіемъ 3 л. ед. ч.: не разъ рядомъ стоятъ ჰ и ს.
- Гл. 12: 14 I მარჯვე.
- Гл. 13: 4 I უზომ: это —


- описки, пожалуй, вм. ეზომ, а не უზომ, какъ принято нами въ изданіи.— 6 I *φίλοσαφος* სთა.
- Гл. 14: 19 I სიკლტოლვა.— 23 I დაიფარნა.
- Гл. 15: 1 I წილვდეთ.— 6 — 7 I სიმშუვრალე.— 8 I აღმოეცენობა.
- Гл. 16: 13 I შეუვარდა.
- Гл. 17: 6 I გესამანია.
- Гл. 18: 2 I პინინობ и въ другихъ мѣстахъ.— 3 I მალენიობ и въ другихъ мѣстахъ.
- Гл. 19: 3 I ეხილვნეს.— 8 I მონაზუნად.
- Гл. 22: 6 I დასდეგ.— 7 შინა] I прибавляетъ შნო, быть можетъ, слѣдуетъ შენსა.— 25 I რომელი.
- Гл. 26: 8 I სერაბინთა და ქერაბინთა.— 15 იგი] I опускаетъ.
- Гл. 31: 3 პატრიარქისა] къ этому слову относится примѣчаніе въ выноскѣ, сохраненное переписчикомъ I изъ древней рукописи: ვჭკონებ თუ იერუსალიმისა პატრიარქისა იტყვის *я думаю, что (авторъ) говоритъ объ іерусалимскомъ патриархѣ.*
- Гл. 34: 1 დასრულდა.— 4 წმიდათა] I оп.— 5 იაკობიგნი.
- Гл. 35: 7 ბილწთა მათ] оп.— 8 უკანის.
- Гл. 37: 4 — 5 I, с აღატყდეს.— 7 — 8 ქართველთ.— 11 რეკეს] ჰკრეს.— ღუთისათა] ღირსათა.— 13 კმა მალლისაგან.— 14 ეტყოდეს.
- Гл. 38: 7 წმიდა] оп.— 11 ვარქუ] რქვა.— 14 მარქვა.— 17 საცეცხლოურთაგან.— 18 ეგნო.
- Гл. 39: 13 დედავაცო] оп.— 16 ეკლოგია.— 18

- ველი მისი.— 22 გრე-
მოს.
- Гл. 40: 1 მსკე] მოსე.—
3 I უნებად მისკლისა,
ე ენებო-და მისკლისა.—
4 შეწუხებად.— 14—15
გამოვიდა.
- Гл. 41: 1 I განვიდა.— 5
სიტყვათ უქმთა — 11
წმიდა.
- Гл. 43: 3—4 და მოუწერა
წმიდა პეტრეს მოსუ-
ლად ადგილსა თვისსა]
I оп.
- Гл. 44: 1—2 და მიმდემად]
მომდომად.
- Гл. 45: 4 I, с წარსკლის.
—15 იქმნები.—17 въ обо-
ихъ спискахъ I, с სცემდა.
- Гл. 46: 2 ვისმე ბერისსა
წმიდისა.— 14—15 ვის-
წავლე.
- Гл. 47: 4 ღვთისა მიერ.—
8 ნათელს.
- Гл. 49: 2 I ატმოკონ.—
3 მარტვილაჲ, I მარ-
ტვილთაჲ.— 4 მის.—
7—8 პეტრესი.
- Гл. 50: 4—5 ყოველსა
დღესა. — 7 რამეთუ]
ხოლო.— 9 მიაზომეკ-
დეს.
- Гл. 51: 5 ეუწყა.— 6 ხო-
ლო] მამინ.
- Гл. 52: 1 მოველით.— 9
შეეძინებოდეს] შეკრი-
ვნებოდეს, I შეკრინე-
ბოდეს.—10 კიდისკიდე.
—13 I საქმრითა.— 20
სუელიერად] опускаеть.
- Гл. 53: 6 — 8 что въ скоб-
кахъ, I оп., а въ с, какъ у
насъ, помѣщено въ скобкѣ.—
14 I, с სადიაკონად, въ
с повторяется это слово
послѣ მეფისად (16). —
27—28 და მოქალაქეო-
ბა.
- Гл. 54: 2—3 მებოსტნესა]
მემატრინესა — 4 საუანე
ჰყო] I, с განეყო.— 29

- ვწამენით.— 30 მთავ- გლ. 60: 2 I თავ.
 რისა მიერ] I опускаетъ გლ. 62: 10 მასთანა.
 გლ. 56: 6 თაყვანის.— 8 გლ. 63: 2 სტვიროდა.— 5
 აბო-რს ყოფითა. — ესრე.— 7—8 კიდეკ.—
 11—12 ყოველმან მან. — 11 ყოველსავე. — 12
 13 შემოვრბა რა.— 14 I ვსთქუა, c ვსთქვა. — 16
 რამეთუ] რათა. — 15 წმიდა] წინაშე.— 17—18
 წყურვილ.— 16 მისგან] რამეთუ . . . რათა] I оп.
 მამისაგან.— 24 სტყუძართ- — 34 I დამიტყობ.
 მოყარეობა.— 26 უყ- გლ. 64: 19 I და ერნიცა.—
 რებოდით] შექვრებ- I შეესვბოდეს (sic).
 დით. — სულისსა.— გლ. 66: 14 I სიყვარული.
 29 მოიგევით.— 33 სწ- გლ. 70: 12 ძრეელით.
 ვლა] სიტყვა.— 34 ყო-
 ველნივე.
 გლ. 57: 7 ნეტარსა მას-
 თან.— 10 რად გიკვირსთ.
 გლ. 58: 17 I ჩუწნი.
 გლ. 59: 1 მას] I оп.— 8 ნურ-
 ღარა.— 11 ნათელს ილო.

Заглавія записей на стр.
 52 и 53 внесены нами.

стр. 53: 4—5 a ვინაჲღებან.—
 7 a მოამოსსა.— 8 a
 მოძღვრებდა.— 9 a მა-
 ვარბი.— 11 a მათისა.



ოღენ ნაყოფნი შეწირნა ღმერთსა მსხუშრპლად
 ვითარცა აბელ მართალმან, რომელიცა იგი იყნოსა
 15 ღმერთმან დაძალებელმან ყოველთამან სულად
 სულნელებისად, არამედ სხვანიცა ურიცხვნი სულ-
 ნი შეწირნა ქრისტესა და მიუძღვანნა ნაყოფნი
 ფრიად შუწნიერნი და სულნელნი და ვრავნი უგერ-
 შონი და უბიწონი. არამედ ეჭა ვითარ მოსწრაფე
 20 იქმნა სარბიელი სიტყვისა ჩუწნისა და უსწრობს
 მითხრობად სათნოებასა ყუავილოვანებათა მის-
 თასა, პირველ აღმოცენებისა და აღოზრდებისა
 და აღზრდისა ნათესაობისა მისისასა. არამედ ჟე-
 რეთ ღუმენინ ენა მითხრობად სათნოებათათვის
 25 წმიდისათა.

2. ხოლო აწ უკუშრ ჟერ არს და სათანადო,
 რათა პირველად ვაუწყოთ ღვთის მოყვარებასა
